

პროგრამა

საარჩევნო ბლოკის „მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები
(მ.გ.ს., ერთობა, ე.დ.პ.)“

ეკონომიკური პროგრამის ძირითადი პრინციპები

“ერთად ავაშენოთ ქართული სახელმწიფო”

საქართველო გადამწყვეტი არჩევნებისათვის ემზადება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმოებულმა პოლიტიკამ ვერ გადაჭრა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ამოცანები. თუ რადიკალურად არ შეიცვალა პოლიტიკა, მართვის დამკვიდრებული სტილი - ქვეყნის განვითარებას პერსპექტივა არა აქვს!

დღეს საქართველოს ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც შეძლებს არსებული მდგომარეობის გაანალიზებასა და შეფასებას, პატრიოტი და კომპეტენტური ადამიანების ჩართვას ქვეყნის მართვაში და კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული გზების განსაზღვრას.

მხოლოდ ახლებურად მოაზროვნე მთავრობა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი პარლამენტი შეძლებს სწორი განვითარების სტრატეგიის შექმნას და ძლიერი თანამედროვე სახელმწიფოს აშენებას.

ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი პრობლემის - სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა ახალ, კომპეტენტურ, არაკორუმპირებულ, ხალხის ინტერესების რეალურად გამომხატველ ხელისუფლებას შეუძლია.

ჩვენს პოლიტიკურ მოძრაობაში გაერთიანებულ კონკრეტულ საქმეებიდან მოსულ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებზე უკეთ არავინ იცის შრომის ფასი, ამიტომაც გვსურს, პირველ რიგში, შრომის უფლება და შესაძლებლობა მივცეთ ადამიანებს. ჩვენ შევქმნით ისეთ პირობებს, როდესაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება საკუთარი შრომით არჩინოს ოჯახი, გამდიდრდეს და არგოს ქვეყანას.

ერთი იდეისა და ერთი მრწამსის გარშემო ჩვენს მოძრაობაში გაერთიანებულ განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებს კარგად ესმით და სჯერათ - მრეწველობის განვითარების გარეშე ქვეყანაში ვერ შეიქმნება იმის პირობა, რომ მასწავლებელმა თუ ექიმმა, გლეხმა თუ მეცნიერმა, მწერალმა თუ ჯარისკაცმა, მუშამ თუ პოლიციელმა, პოლიტიკოსმა თუ ხელოვანმა შედეგიანად იშრომოს, ღირსეულად იცხოვროს საკუთარ ქვეყანაში.

ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი ძლიერი ეკონომიკაა!

ჩვენს ქვეყანას აქვს სამრეწველო პოტენციალი - ავადორძინოთ მრეწველობა!

საქართველოს მიწა მაღლიანია - ავადორძინოთ სოფლის მეურნეობა!

ჩვენი ხალხი ნიჭიერია - ავადორძინოთ განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი!
ერთად ავაშენოთ ქართული სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობითაც ყველა ერთდ ვიამაყებთ!

ჩვენი უპირველესი ორიენტირი - ეროვნული ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გზით ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა

ბოლო ათწლეულის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა კატაკლიზმებმა დაადასტურა, რომ რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია ეროვნული წარმოების განვითარების გარეშე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპების რეალურად დამკვიდრებას, კერძო მეწარმეობის ფართოდ განვითარებას, მაგრამ ვეწინააღმდეგებით

იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მსხვერპლი საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრები ხდებიან.

არასწორი საგადასახადო და საპრივატიზაციო პოლიტიკა, დაუცველი ბაზარი, კორუფცია, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების კარნახით აგებული დამღუპველი ეკონომიკური პოლიტიკა არის მიზეზი, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია და მილიონზე მეტი მოქალაქე სარჩოს საძებნელად უცხოეთში იძულებით არის წასული.

მხოლოდ ეროვნული წარმოება ქმნის ქვეყნის რეალურ სიმდიდრეს და მატერიალურ საფუძველს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის აღორძინებისათვის, ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობისათვის, რეალური დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული წარმოების განვითარება კი მხოლოდ საგადასახადო გარემოს რეალური ლიბერალიზაციის, გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირების, ლეგალური მეწარმეობის დამკვიდრებით გახდება შესაძლებელი.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების განვითარებას ადგილებზე, საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა სოფელში, შესაბამისი ხელშეწყობის პირობებში, შესაძლებელია წარმოების გამართვა. საქართველო მდიდარი ქვეყანაა, თუ გონივრულ არჩევანს გადავკეთებთ, თუ ჩვენ საკეთებელ საქმეს თავად გადავკეთებთ, შევძლებთ ძლიერი და მდიდარი ქვეყნის აშენებას.

ადგილობრივი ბაზრის დაბრუნების სტრატეგია

საქართველოს ეკონომიკაში არის უამრავი დარგი, რომელსაც აქვს პოტენციალი, უმოკლეს ვადაში დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები შიდა ბაზარზე, რომელსაც ხშირად მისი უცხოური და, ამავე დროს, უპირატესად, უხარისხო ანალოგიები ავსებენ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბაზრის რეალურ მოთხოვნათა და ცვლილებათა საფუძველიანი კვლევა, რათა ზუსტად განისაზღვროს ის სფეროები, რომლებიც სახელმწიფომ პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს და როგორც შიდა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, ასევე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში, მოახდინოს მათი მაქსიმალური წახალისება და ხელშეწყობა. ეს პროცესი უნდა ატარებდეს მუდმივ ხასიათს, რათა ქვეყანა არ მოწყდეს, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციებს და პრიორიტეტების გადასინჯვა სასურველ შედეგს იძლეოდეს.

პარალელურად, ადგილობრივი პროდუქციის შიდა ბაზარზე დამკვიდრების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება რამდენიმე მიმართულებით. უპირველესად, უმნიშვნელოვანესია ბიზნესის დასაწყებად და საწარმოებლად აუცილებელი ნებართვების სისტემის (რეგისტრირება, სერტიფიცირება, ლიცენზირება,...) მაქსიმალურად გამარტივება როგორც პროცედურულად, ასევე – ქრონოლოგიურად.

პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფალსიფიცირებასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლას, რადგან თავისი მნიშვნელობით, ეს ფაქტორები ეროვნული წარმოების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელია. აუცილებელია ფალსიფიცირებასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდებისა და კანონმდებლობის მკვეთრი გამკაცრება და შესაბამისი სანქციების მაქსიმალურად ამოქმედება. საქართველოს, როგორც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს, ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ უზრუნველყოფს თანაბარი პირობების შექმნას, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული საქონლისათვის. თუმცა, მისი დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიფერენცირება მოახდინოს და ადგილობრივი ბაზარი შედარებით მაღალი საბაჟო ტარიფებით დაიცვას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვადა ნელ-ნელა იწურება, აუცილებელია ამ მცირე უპირატესობით დროულად სარგებლობა, რათა ბაზრების სრული ლიბერალიზების ეტაპისთვის ქართულ საწარმოებს ჰქონდეთ გარკვეული რეზერვი იმპორტულ საქონელთან კონკრეტულ ბრძოლაში ბაზრის შესანარჩუნებლად. იმავედროულად, სახელმწიფომ საგადასახადო და სხვა ტიპის კანონმდებლობით უნდა წახალისოს ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და შექმნას

პირობები, რომ უხარისხო, ძველი და არაეკოლოგიური ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქცია გეგმაზომიერად განიდევნოს ბაზრიდან.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი წილი უკავია საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლად დასაქმებულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის სოლიდური ნაწილი. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო სიძლიერეს.

აგრარული მეურნეობების ხელშეწყობის უმთავრეს გარემოებებად უნდა იქცეს მიწის ბაზრის რეფორმის ბოლომდე მიყვანა, აგრეთვე მიწის, როგორც ლიკვიდური პროდუქტის ფორმირებისათვის ხელშეწყობა, რათა მისით სარგებლობა უფრო მოქნილი და მოსახერხებელი გახდეს არა მხოლოდ წარმოების მხრივ, არამედ სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების (ყიდვა, გაყიდვა, გირავნობა) განსახორციელებლადაც.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ფერმერული მეურნეობის განვითარება აგრეთვე გულისხმობს საკრედიტო რესურსებზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია რამდენიმე მექანიზმით განხორციელდეს. უპირველესად, ეს უნდა იყოს დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე საბანკო კრედიტების სისტემა. ასევე თანადაფინანსების ფორმები, სადაც თანადაფინანსებელი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი საგანგებო სააგენტო, რომელიც მკაცრი შერჩევით მოახდენს ეკონომიკურად გამართლებული პროექტების ნაწილობრივ ფინანსურ უზრუნველყოფას.

იმავედროულად, აუცილებლობას წარმოადგენს აგრარული პროდუქციის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლის მეტ ფინანსურ მდგრადობას და სხვადასხვა ტიპის რისკფაქტორების (სეტყვა, გვალვა . . .) შემცირებას.

სოფლის მეურნეობისათვის აუცილებელ ხელშეწყობ პირობად უნდა იქცეს სეზონური გადასახადების შემოდება და რეალურად ამოქმედება, რაც დარგში პროდუქტიულობის გაზრდას და მეტი თავისუფალი საბრუნავი სახსრების გაჩენას შეუწყობს ხელს.

გადამამუშავებელი მრეწველობა

ეს სფერო ერთ–ერთი ყველაზე პერსპექტიულია საქართველოს ეკონომიკისათვის. საქართველოში არსებული რესურსული ბაზა და ბაზრის თავისებურებები შესაძლებელს ხდის მთლიანი ჯაჭვის ამოქმედებას აუცილებელი ნედლეულის (ხილი, ბოსტნეული, სხვა პროდუქცია) წარმოებიდან დაწყებული და მათგან შესაბამისი საკონსერვო თუ სხვა ნაწარმის გამოშვებით დამთავრებული.

დარგის პერსპექტიულობას ხელს უწყობს ბაზრის მუდმივად მზარდი მოთხოვნილება ამ სახის პროდუქციაზე და ასევე დარგის სპეციალისტების მაღალი პროფესიონალიზმი. გადამამუშავებელი მრეწველობის წახალისებით აუცილებელია დარგის ფუნქციონირებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების იმპორტზე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გაერცელება და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადასახადების გაუქმებაც. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ამ სფეროში ჩადებული ინვესტიციების საგანგებო ხელშეწყობა და მისთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა: ნედლეულის (განსაკუთრებით ადგილობრივის) შესყიდვის პროცედურების გამარტივება და ამ ოპერაციის ეკონომიკური ხელსაყრელობის გაზრდა, ასევე ბაზარზე საბოლოო პროდუქტის გატანის ხელშეწყობა და მისთვის ადმინისტრაციული და სხვა სახის ბარიერების მოშლა.

მშენებლობა

რამდენიმე წლიანი სრული ჩავარდნის შემდეგ, დღეს საქართველოში მშენებლობა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი, დასავლური სტანდარტების შესაბამისი და მაღალი კონკურენციის პირობებში მოღვაწე დარგია. აქედან გამომდინარე, მისი ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი ძირეული ფაქტორი იქნება.

შესაბამისად, სამშენებლო სექტორი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს, რათა დღევანდელი ზრდა შემდგომში სტაგნაციამ არ შეცვალოს. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოძველებული სამშენებლო კანონმდებლობისა და სტანდარტების უსწრაფესი შეცვლა; ასევე მშენებლობათა დასაწყებად და საწარმოებლად აუცილებელი ადმინისტრაციული მოთხოვნების მკვეთრად ჩამოყალიბება და შეძლებისდაგვარად გამარტივება; და ბოლოს, სფეროში ზომიერი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ერთი მხრივ, მშენებლობათა გაზრდის სტიმულირებას მოახდენს, მეორეს მხრივ კი სექტორს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზონიდან გამოდევნის.

სამშენებლო სექტორის განვითარება დღის წესრიგში აყენებს სამშენებლო მასალების წარმოების გაფართოებას. ამ დარგს სერიოზული საექსპორტო პოტენციალიც აქვს.

მეტალურგია

ეს სფერო დღეს სრულიად დაუმსახურებლად ერთ-ერთ ყველაზე უიმედო დარგად არის მიჩნეული. არა და, ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობებისა და გადაიარაღების პროცესი ნეთელს ხდის, რომ ამ სიფრცვეში ნამდვილად არსებობს ადგილი ქართული მეტალურგიული პროდუქციის ინტეგრირებისათვის.

ერთი მხრივ, საქართველოში გამოკვეთილი ბინათმშენებლობის ბუმი, მეორე მხრივ კი უმსხვილესი საერთაშორისო პროექტების (ნავთობსადენები, გაზსადენები და სხვა) განხორციელება შესაძლებელს ხდის ქართული მეტალურგიული კომპლექსის ჩართვას და მისი იმ სეგმენტების დასაქმებას, რომელთაც აქვთ უნარი, აწარმოონ კონკურენტული (ხარისხით, ფასით და სხვა მაჩვენებლებით) პროდუქტი.

საამისოდ აუცილებელია ბაზრის მოთხოვნათა შესწავლა და მეტალურგიულ კომპლექსში იმ მიმართულებების წახალისება, რომელთაც ზრდის პერსპექტივა გააჩნიათ. იმავდროულად, აუცილებელია სახელწიფომ უფრო მეტად დაიცვას საკუთარი მწარმოებლების პოზიციები და ყველა შესაძლო პროექტში მოახდინოს მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მანქანათმშენებლობა

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა, შეინარჩუნოს და განავითაროს მძიმე მრეწველობის ეს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგი. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოში არსებობს სათანადო ბაზა და რესურსი, რათა მოხდეს ახალი მანქანების არა მხოლოდ გამოშვება, არამედ მათი პერმანენტული გაუმჯობესება, ექსპლუატაციის მუდმივი კონტროლი, შეკეთება და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე მაღალ შემოსავლიანია, ის სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგანად უნდა იმყოფებოდეს. კერძოდ, მუდმივად უნდა ხდებოდეს ამ პროდუქციის მწარმოებელ ბაზრებზე დამკვიდრება და კონიუნქტურის ცვლილებათა ოპერატიული გათვალისწინება, რათა დარგმა დიდი დანაკარგები არ განიცადოს და სასაქონლო რიგიც მუდმივად ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი იყოს.

მანქანათმშენებლობის განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების და კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის აღდგენის ტემპზე, დარგის მხარდაჭერისთვის საჭიროა სახელმწიფო დაკვეთები. ოპტიმალური საგადასახადო კანონმდებლობა დარგს საშუალებას მისცემს საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნების წარმოების მაშტაბები გაზარდოს.

ადგილობრივი რესურსების გამოყენება

საქართველოს რესურსულ სიმდიდრეს ეჭვქვეშ არავინ აყენებს. შესაბამისად, ეს არის ის უპირატესობა, რომელიც ქვეყანას გააჩნია ბევრ სხვა, მათ შორის, გაცილებით უფრო მეტად განვითარებულ ბაზრებთან შედარებით. თუმცა, დღეს ამ უპირატესობათა გამოყენება ძალიან მცირე დოზით ხდება და ქვეყნის გარეთ მზა პროდუქციის ნაცვლად უპირატესად ნედლეული გაედინება, რაც ეკონომიკის სტრუქტურასაც ამახინჯებს, ქვეყნის მრეწველობის შესაძლებლობებსაც ამცირებს და დასაქმების პრობლემასაც ამწვავებს.

აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში არსებული ყველა რესურსის (ბუნებრივი, მეორადი და სხვა) პოტენციალის შესწავლა და მისი საქართველოშივე მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა. ეს პრაქტიკა დღევანდელი მდგომარეობით გაჩერებული ბევრი დარგის თუ წარმოების ამომავლებს შეუწყობს ხელს, რაც ეკონომიკურთან ერთად სოციალური სტაბილურობის გარანტიაა.

ექსპორტის ხელშეწყობა

საქართველოს ბაზრის მოცულობის შედარებით სიმცირიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექსპორტზე ორიენტირებული დარგებისა და წარმოებების ხელშეწყობას.

ამ თვალსაზრისით, გასატარებელია დიფერენცირებული საექსპორტო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, ტრადიციული ბაზრების დაბრუნებას, მეორე მხრივ კი, ახალ ბაზრებზე გასვლას და მათ ათვისებას. ტრადიციულ ბაზრებზე მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ის უპირატესობები, რაც ქართულ პროდუქციას აქვს (სავაჭრო მარკების ცნობადობა, მოქნილი საფასო სისტემა და ა.შ.)

რაც შეეხება ახალ ბაზრებზე დამკვიდრებას, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე, უნდა მოხდეს იმ დარგებისა თუ საწარმოების კონკრეტული ხელშეწყობა (ფინანსური, მარკეტინგული, საკონსულტაციო), რომელთაც აქვთ საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრების პერსპექტივა.

ენერგეტიკა

ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის წახალისება. საქართველოს ენერგოსისტემა ხშირად დეფიციტურია, რის გამოც, ერთი მხრივ, მუდმივად არსებობს სოციალური აფეთქების საშიშროება, მეორე მხრივ კი, ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა, რადგან წარმოებებს არამდგრადი ენერგოუზრუნველყოფის გამო, უდიდესი ზარალი ადგებათ.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ადგილობრივი ენერგორესურსების გენერაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას, რაც გულისხმობს როგორც არსებული სიმძლავრეების გადაიარაღებასა და მაქსიმალურად გამოყენებას, ასევე ახალი ენერგოწყაროების (მაგალითად, მცირე ჰესები, ეკონომიკურად ეფექტური თბოსადგურები და სხვა) ამოქმედებას.

პარალელურად, უნდა ამოქმედდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ქვეყნის ენერგოსისტემაში არატრადიციული ენერგორესურსების (მაგალითად, ქარის, მზისა და სხვა ენერგიები) წილის გაზრდას და ეკოლოგიურად მძიმე და ხარჯტევადი ტრადიციული ენერგეტიკის წილის შემცირებას შეუწყობს ხელს.

ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ენერგობალანსის დაცვას, როგორც მასში გამოყენებული წყაროების, ასევე ქვეყანაში ენერგიის იმპორტის თვალსაზრისითაც. უნდა მოხდეს მოწოდების მაქსიმალური დივერსიფიკაცია, რათა მომწოდებელთა შორის არსებობდეს კონკურენცია, ქვეყანა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მონოპოლიურ მომწოდებლებზე.

კომუნიკაციები

საქართველოში, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობის ამადლები და დამკვიდრებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების გამართული და მდგრადი სისტემის არსებობას. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საავტომობილო გზების აბსოლუტური უმრავლესობა ამორტიზებული და გადასაადგილებლად უვარგისია, რაც უარყოფითად აისახება მგზავრთა და ტვირთნაკადის გაზრდაზე.

ამ ტენდენციის აღმოსაფხვრელად, აუცილებელი ხდება გზათა მშენებლობის საქმეში, სახელმწიფოსთან ერთად, კერძო სექტორის ჩართვის უზრუნველყოფაც, რათა გზათა ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად მოკლე პერიოდში მოვიდეს შესაბამისობაში აუცილებლად სტანდარტებთან.

კომუნიკაციების გაუმჯობესებისათვის აუცილებელ პირველხარისხოვან საკითხად ე.წ. კომერციული გზების მშენებლობის დაწყება უნდა იქცეს. არსებული მაგისტრალების პარალელურად, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში უნდა აშენდეს კომერციული გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება გადაადგილების ალტერნატიული, უფრო ხარისხიანი საშუალებით სარგებლობა.

მცირე და საშუალო ბიზნესი

ეს სფერო ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. მის განვითარებაზე დიდ წილად არის დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი წინსვლისთვის კრიტიკულად აუცილებელი საშუალო ფენის ჩამოყალიბება და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე მდგარი დასაქმების უმწვავესი პრობლემების მოგვარებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად აუცილებელია მოქნილი, კარგად განვითარებული საგადასახადო პოლიტიკის გატარება. რიგ შემთხვევებში გამართლებულია მოქმედი რამდენიმე გადასახადის გაუქმება და ერთიანი ბრუნვის გადასახადის დაწესება.

მცირე და საშუალო მეწარმეთათვის აუცილებელია იოლი სასტარტო პირობების შექმნა ბიზნესის დასაწყებად. კერძოდ, აუცილებელია საქმის დასაწყებად საჭირო ნებართვებისა და სხვა პროცედურების მაქსიმალურად შემცირება და ვადებში შემჭიდროება, ასევე საწყისი 2-3 წლის განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ობიექტების გადასახადებისაგან სრული განთავისუფლება.

პარალელურად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიზნესის მწარმოებელი ამ სპეციფიკური ჯგუფებისთვის იაფი და შეღავათიანი საბანკო კრედიტების სისტემის დანერგვის წახალისება.

საგადასახადო პოლიტიკა

დღეს საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი ჩრდილოვან სექტორშია მოქცეული. ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი არსებული მოუქნელი და რეალობასთან აბსოლუტურად შეუსაბამო კოდექსია, რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ლეგალურ საქმიანობას და ეკონომიკის მთელი დარგების არაფორმალურ სექტორში გადასვლას უწყობს ხელს.

ამ მანიკერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად გადაუდებლად აუცილებელია არსებული საგადასახადო სისტემის ძირეული შეცვლა. ხელისუფლებისა და გადასახადის გადამხდელთა ურთიერთობა აგებული უნდა იქნას ურთიერთპასუხისმგებლობის და პარტნიორობის პრინციპებზე. საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული უნდა იქნას შეღავათები, რომელიც გაუადვილებს მოქალაქეებს ბიზნესის დაწყებას, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამამულო წარმოების განვითარებას. კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, სპორტის მხარდამჭერ და მასტიმულირებელ ღონისძიებებს.

საბაჟო კანონმდებლობა

საქართველოს ბაზარი ჯერ კიდევ საკმაოდ მყიფე და არამდგრადია. შედეგად, მასზე მომხდარი უმნიშვნელო რყევაც კი სერიოზულად აისახება ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგსა თუ წარმოებაზე. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმების შემუშავებას, რომლის ერთ-ერთი ბერკეტიც საბაჟო კანონმდებლობა უნდა იყოს. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა და მისი კანონმდებლობა ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სფეროში გარკვეულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. თუმცა, იმავე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეთანხმება საქართველოს აძლევს უფლებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმპორტული პროდუქცია შედარებით მაღალი განაკვეთებით დაბეგროს და ადგილობრივ მწარმოებლებს ამით შეუწყოს ხელი. ეს უპირატესობა, რომლითაც განვლილი წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას, მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის გამო არ უსარგებლია, აუცილებლად გამოსაყენებელია.

ამავე დროს აუცილებელ გამარტივებას ითხოვს დღეს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურები, რომლებიც ბიზნესმენებისათვის ტრადიციულად დროისა და თანხების საგრძნობ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

დასაქმება

გააზრებული საგადასახადო პოლიტიკის წარმოების პირობებში, როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ ბიზნესმენებს მიეცემათ საშუალება, უფრო აქტიურად გაატარონ ლეგალური დასაქმების პოლიტიკა, რომელიც დღეს უპირატესად ჩრდილოვანი ან ნახევრად ლეგალურია.

აუცილებელია შეიქმნას პირობები, რათა დამსაქმებელს მიეცეს სტიმული დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისა და ლეგალური აღრიცხვისათვის. საამისოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დამსაქმებლის მატერიალურ წახალისებას. კერძოდ, მისი საგადასახადო ტვირთი უნდა მცირედობდეს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად.

ამავე დროს, რეალურად უნდა ამუშავდეს შრომის ბირჟებისა და დასაქმების ცენტრების სისტემა, რომელიც არსებული სამუშაო ძალის უფრო მკაფიო სტრუქტურირებას და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს.

საპენსიო უზრუნველყოფა

არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ დღევანდელი საპენსიო სისტემა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ის უკვე მორალურად აბსოლუტურად მოძველებულია და დიდ სივრცეს ტოვებს კორუფციული სქემებისა და გარიგებებისათვის. სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, სხვისი დახმარების გარეშე გაუმკლავდეს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად აუცილებელია საპენსიო სისტემაში ინიციატივის მაქსიმალური წახალისება კერძო საპენსიო ფონდების ფორმირებისათვის ხელშეწყობის გზით. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ სიახლის შეტანა იწვევს, როგორც ზოგადად საპენსიო სისტემის გაჯანსაღებას, ასევე ფინანსური ნაკადების უფრო მეტ გამჭირვალეობას და ამ სფეროს სანდოობის ზრდასაც. ამავე დროს, კერძო საპენსიო ფონდების შექმნა შესაძლებელს გახდის დაგროვებითი პენსიის ცნების დამკვიდრებას, როდესაც თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა, აქტიური მუშაობის პერიოდში საკუთარი შეხედულებისამებრ მოახდინოს თავისი დანახოვის ფორმირება და განკარგვა.

საპენსიო სისტემის ასეთი ძირეული რეფორმა ამ სფეროს უფრო სწრაფ განვითარებას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში შესაძლებელს გახდის პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას.

ინვესტიციების ხელშეწყობა და დაცვა

ქვეყანაში არსებული შეზღუდული ფინანსური თუ ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამო, აუცილებელია ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის მოქნილი და მდგრადი სისტემის შექმნა.

ამ მხრივ, დღეს არსებული საინვესტიციო გარემო აშკარად არასახარბიელოა და საფუძვლიან გადახედვას მოითხოვს. უცილებელია ინვესტიციების მაქსიმალურად კომფორტულ რეჟიმში მოქცევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს კაპიტალისა თუ ტექნოლოგიების სწრაფი და შეუფერხებელი მოძრაობა.

უმნიშვნელოვანესია საინვესტიციო პროექტების მაქსიმალურად შეღავათიანი რეჟიმით დაბეგვრა (საწყის ეტაპზე – ბეგარისაგან გათავისუფლება), რაც პირდაპირ ასახება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაზე.

პარალელურად, სასიცოცხლოდ აუცილებელია განხორციელებული ინვესტიციის დაცვის მყარი გარანტიების შექმნა (მაკონტროლებლების მაქსიმალური შეზღუდვა, პრივატიზების შედეგების გადასინჯვაზე უარის თქმა და ა.შ.), რათა მოხდეს ბაზრის სტაბილიზაცია, გრძელვადიანი ინვესტირების ინსტიტუტის დამკვიდრება და არ მოხდეს ინვესტიციების გაწოვა.

ქველმოქმედება და სპონსორობა

ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი სახელმწიფო ბიუჯეტი ფინანსურად ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ყველა დარგის ფუნქციონირებასა და კონკრეტული პროგრამების განხორციელებას. ამის გამო, ბიზნესმენტათვის იქმნება შესაბამისი გარემო, რათა მათ სახელმწიფოსთან სოციალურად მოახდინონ მთელი რიგი მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, რომ ქველმოქმედებისა და სპონსორობის ინსტიტუტი ღვეალური გახდეს და მისი მასშტაბები გაიზარდოს. შედეგად, საჭირო თანადგომის გარეშე რჩება საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავი სფერო, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო ვერ ახერხებს, კერძო ბიზნესს კი ხელ-ფეხი აქვს შეკრული.

ქველმოქმედებისა და სპონსორობის საგადასახადო და სხვა ბერკეტებით წახალისება მკვეთრი განვითარების საშუალებას მისცემს ბევრ სფეროს, განსაკუთრებით ისეთებს, სადაც სადღეისოდ ეკონომიკური ეფექტიანობა დაბალი ან სულაც ნულოვანია (კულტურა, ხელოვნება, სპორტი და ა.შ.).

იმავედროულად, აუცილებელია კონტროლის მკაცრი მექანიზმის ამუშავება, რომელიც გამორიცხავს ქველმოქმედებისა და სპონსორობის საფარის მიღმა სხვა ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას.

ტურიზმი

ქართული ეკონომიკის სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის რეალურ შეფასებასა და ათვისებას.

საამისოდ აუცილებელია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდგომ მის განვითარებაზე სათანადო ზრუნვა. თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული ყველა ეტაპზე და ყველა მიმართულებით. საგადასახადო და სხვა სახის ხელშეწყობა სჭირდება გზებისა და ტურისტული ობიექტების მშენებლობას, სათანადო გართობისა თუ დასვენების საშუალებების იმპორტს, ქვეყნის გარეთ საქართველოს ტურიზმის სისტემის რეკლამირებას. პარალელურად, სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ხარჯტევადი ტურისტული სახეობების განვითარებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე.

ენოკონფლიქტების მოგვარება

ქვეყნის განვითარებისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, დიპლომატიურ და სამხედრო რესურსებთან ერთად, აუცილებელია იმ ფაქტის კარგად გააზრება და აქცენტირება, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია.

აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაკარგულ ტერიტორიებთან მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტების განხორციელებას. როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონთან უნდა მოინახოს ისეთი შეხების წერტილები, რომლებიც ეკონომიკური კავშირუბრთობების აღდგენასა და დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ეს იქნება გაცილებით ქმედითი ნაბიჯი ამ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად, ვიდრე ის მიმართულებები, რაზეც დღეს არის აქცენტი გაკეთებული.

მედიცინა

საქართველოს სამედიცინო სისტემაში დღეს არსებული ვითარება ნათელი დასტურია იმისა, თუ რა შედეგები მოხდეს ნახევრად რეფორმირებით სიარულს. ეს სფერო დღეს ვერც ძველიდან გამოვიდა და არც ახალ სისტემაზე გადაეწყო, ამ ეტაპზე ორივე საკმაოდ არაეფექტიან ნაზავს წარმოადგენს.

არსებული ვითარების დასაძლევად აუცილებელია დაწყებული რეფორმების უსწრაფესი დასრულება. კერძოდ, სახელმწიფოს როლის მკვეთრად გამოკვეთა და ამ მიმართულებით გამიჯვნა, რომელთა უზრუნველყოფასაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს. აუცილებელია სამედიცინო ობიექტების გააზრებული ოპტიმიზაციის განხორციელება და კერძო სამედიცინო პუნქტების შექმნის ხელშეწყობა, ასევე სადაზღვევო მედიცინის სისტემის დამკვიდრება. ეს ყველაფერი ჯანდაცვის უაცილებელი პაკეტის ხელმისაწვდომობას უნდა უზრუნველყოფდეს. პირველ რიგში, საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიანი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვას, რაც შესაბამისი ხელშემწყობი საბაჟო კანონმდებლობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

განათლება

განათლების სფეროს რეფორმა ასევე კერძო ინიციატივის წახალისებას, ახალი დისციპლინების დანერგვას და ნოვატორული სასწავლო მეთოდის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს.

უნდა მოხდეს განათლების სისტემის დაწესებულებათა მკაცრი ატესტაცია და სივრცე გამოიხშიროს ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან, რომლებიც სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ.

აუცილებელია სისტემის რეფორმირება მის ყველა ეტაპზე – სკოლამდელი და საშუალო სკოლებიდან უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით. უნდა გადაისინჯოს და ახლებური სქემით მოხდეს მათი ფინანსირება.

ძალიან მნიშვნელოვანია, მოხდეს საგანმანათლებლო შეკვეთის დადგენა და ამის მიხედვით განისაზღვროს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კონტიგენტის თუ თანამშრომელთა რაოდენობა და სტრუქტურა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემების ჩამოყალიბებას, მათ შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნილებებთან და კვალიფიციური სამუშაო ძალის აღზრდას მათთვის სათანადო განათლების მიცემითა თუ გადამზადებით.

მეცნიერება, კულტურა, სპორტი

არსებული სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებას სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელია ამ დარგის

დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა, სამეცნიერო ტექნიკური სფეროს რეფორმირება, რაც კონკურენტუნარიანი სამეცნიერო პროდუქციის შექმნასა და მსოფლიო დონის ფუნდამენტურ კვლევა-ძიებაზე იქნება ორიენტირებული. საქართველოდან დღეს, ყველა სიკეთესთან ერთად, გაედინება ყველაზე ფასდაუდებელი სიმდიდრე-ინტელექტი, ამიტომ ამ დარგში საკადრო პოლიტიკის ამოსავალი უნდა გახდეს ნიჭიერი სამეცნიერო კადრების შენარჩუნება. ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვასა და ჩართვისათვის, მათი შემოქმედებითი განვითარებისათვის აუცილებელია მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა, მეტერიალური მხარდაჭერა, ხელფასების ზრდა, სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა და სამეცნიერო სკოლების დაფინანსება. ამასთან, საჭიროა გამოიყოს ამ სფეროში შედარებით აქტუალური მიმართულებები – ინფორმაციული და მაღალი ტექნოლოგიები, ეროვნული უსაფრთხოება, სოციალური საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები, სახელმწიფოს მართვის სრულყოფა და სხვა.

კულტურის მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც უპირველესად გამოიხატება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და დაცვაში, მსოფლიოს საზოგადოებისათვის გაცნობაში. სახელმწიფომ მთავარ მიმართულებად უნდა გამოიყოს დარგის რეფორმირება, რომელიც მიმართული იქნება სათანადო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისაკენ. ამ საქმისათვის, სახელმწიფო სახსრების მობილიზებასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია მეცენატობისა და კერძო პირთა, ორგანიზაციათა სპონსორობის ხელშეწყობა, საქველმოქმედო მოღვაწეობის დაბეგვრის მაქსიმალური შემცირება, რაც მოიხიდავს არასახელმწიფოებრივ სახსრებს და გაჩნდება მეტი შესაძლებლობა ხელფასებისა და კულტურული სფეროს მუშაკთათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შესაქმნელად.

ჯანსაღი თაობის გაზრდას და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. მოქალაქეთა შემოსავლების მიუხედავად, ყველას უნდა შეეძლოს დაკავებული იყოს სპორტითა და ფიზიკური აღზრდით. ეს ამოცანა რომ განხორციელდეს, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები, მომზადდეს კვალიფიცირებული სპეციალისტები და გაუმჯობესდეს სპორტულ დაწესებულებათა მატერიალურ ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო დაწესებულებებში, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის, მხედრული და ფიზიკური აღზრდის სისტემის რადიკალურად გარდაქმნის ღონისძიებებს.

მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადება სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

პოლიტიკური მოძრაობა “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” თავისი უმთავრესი პრინციპის ერთგული რჩება: ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლა, რეალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება მხოლოდ ერთადერთი გზით – ეროვნული წარმოების აღორძინების და განვითარების, საკუთარი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოყენებით არის შესაძლებელი.

პ/მ “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” ერთადერთი ეროვნული პოლიტიკური ძალაა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა, ქართული სახელმწიფოს აშენება საკუთარი რესურსების გამოყენებით, უცხოთა დახმარების გარეშე შეუძლია. ჩვენი მოძრაობის ორიენტაცია პროქართულია, რადგანაც გვჯერა ჩვენი ხალხის გონიერების, შორსმჭვრეტელობისა და პოტენციალის. ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა შეუძლია მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე მეცნიერებასა და ცოდნას, საღი აზროვნების სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ღირსეულ და კომპეტენტურ პიროვნებებს, ვისთვისაც საზოგადოებრივი ინტერესები უფრო ღირებულია, ვიდრე დაკავებული თანამდებობა. ჩვენი მოძრაობა სწორედ ამგვარი ადამიანის ხელისუფლებაში მოსვლას შეუწყობს ხელს.

ჩვენი ამოცანაა გარდავქმნათ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების სტილი, დავუქვემდებაროთ პოლიტიკა განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით.

ჩვენი პოლიტიკის უპირველესი ამოცანებია-ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ცხოვრების დონის ამაღლება, სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების განმტკიცება, კანონიერების დამკვიდრება, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი გაძლიერების გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ მივისწრაფით კეთილგანწყობილი და მშვიდობიანი ურთიერთობის დამკვიდრებისაკენ ყველა ქვეყანასთან, უპირველესად ჩვენს მეზობლებთან, ყველა პროგრესულ ძალასთან. ჩვენმა ქვეყანამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაჭრაში, განამტკიცოს წარმატებები, რომლებიც მიღწეულია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და აქტიურად იღვაწოს იმისათვის, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენ მზად ვართ, ინტენსიურად ვითანამშრომლოთ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

მივმართავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს:

მოგიწოდებთ თანადგომისაკენ! მოვიკრიბოთ ძალები, გამოვაგლინოთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი, რათა ერთნაირი ძალისხმევით გამოვიყვანოთ ჩვენი სამშობლო ეკონომიკური კრიზისიდან და შთამომავლობას დაგუტოვოთ ერთიანი, ძლიერი საქართველო, რომლის საფუძველთა საფუძველი ძლიერი ეკონომიკა და ღია საზოგადოება იქნება.

ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის, ყველასთვის, ვინც იზიარებს ჩვენს ხედვას.

**გადავარჩინოთ ეროვნული წარმოება და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს!
ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ქართული სახელმწიფო!**

კარგად გვესმის, რომ ჩვენს წინაშე ურთულესი ამოცანები დგას, მაგრამ ჩვენ გვჯერა ჩვენი შესაძლებლობების, ჩვენი ხალხის ნიჭის, ენერჯისა და გონიერების, ჩვენ გვჯერა ჩვენი სიმართლისა და ჩვენი ერთად გამარჯვებისა.

ჩვენ გვწამს, რომ დღესაც, მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, ჩვენი ქვეყანა ისევ გაუძლებს ისტორიის გამოცდას და მყარ საფუძველს შეუქმნის საქართველოს მომავალს.